საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 33 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ----------3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია----------10
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი----------20
4. დამატებითი ინფორმაცია----------31
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა----------32
6. დანართი №2 რეკვიზიტები----------33
7. დანართი №3 ხარჯთაღრიცხვა----------34

1. საკონკურსო განცხადება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

1. **შესყიდვის ობიექტი:** სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურება.
2. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **750 000** (შვიდასორმოცდაათი ათასი) ლარს.
3. **დაფინანსების წყარო:** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5. **კონკურსში მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. **საკონკურსო წინადადების მიღება:** კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება 2 (ორი) დალუქული კონვერტით (1. ფინანსური წინადადების კონვერტი, რომელშიც იქნება განთავსებული სატენდერო წინადადების ფასი, მე-10 პუნქტის 10.2 და 10.3 პუნქტებით გათვალისწინებული დანართები №2, და №3, და 2. ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი, რომელშიც იქნება განთავსებული მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი და მე-10 პუნქტის 10.1 და 10.4—10.7. პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე), უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 26 ივლისიდან 31 ივლისის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, ოთახი №413, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

7. **საკონკურსო წინადადებების გახსნა:** საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტების გახსნა მოხდება 2013 წლის 31 ივლისს 12.30 საათზე, ხოლო ფინანსური წინადადებების პაკეტები შეინახება დალუქულ მდგომარეობაში პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებამდე.

8. ამ განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. **საკონკურსო წინადადებების მოქმედების ვადა:** საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. **საკონკურსო წინადადების შემადგენლობა:** დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

საკონკურსო წინადადების ფასს (ციფრობრივად და სიტყვიერად). საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში და უნდა შეიცავდეს დღგ-ს.

10.1. აფიდავიტს (დანართი №1)

10.2. რეკვიზიტებს (დანართი №2)

10.3. ხარჯთაღრიცხვას (დანართი №3).

10.4. ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, გეოდეზური მოწყობილობები, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოებისათვის შესაბამისი ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, აპარატურა და ხელსაწყოები.

№	მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება	რაოდენობა
1	**გეოდეზიური მოწყობილობები:** –GPS (ბაზური) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით –GPS (გადასაადგილებადი) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით -ელექტროტაქეომეტრი -ნიველირი	 1 2 1 1
2	**საინჟინრო-გეოლოგიური მოწყობილობა:** -გეოლოგიური საბურღი მანქანა -გრუნტის სტატიკური და დინამიკური ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა(CBR) -გეოლოგიური ლაბორატორია	 1 1 1

3	**სამოსის შესასწავლი მოწყობილობა:** -საფუძვლის დეფორმაციის მოდულის საზომი -ბეტობის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო	 1 1
4	**კომპიუტერული მოწყობილობა:** -კომპიუტერი	 3
5	**გასამრავლებელი მოწყობილობა:** -პრინტერი A-3 -პლოტერიA-0 -ქსეროქსი	 1 1 1
6	-მაღალი გამავლობის სატრანსპორტო მსაშუალებები	1
7	**ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა** -საგზაო პროგრამა ხიდების კონსტრუქციების საანგარიშო პროგრამა -ხელოვნური ნაგებობების საანგარიშო პროგრამა	 1 1 1

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები.
1 2 და ა.შ.					

10.5. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, და რომელიც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს გუნდის ხელმძღვანელი-გზების ან ნაგებობების ინჟინერი, საავტომობილო გზების, ხიდების, ხელოვნური ნაგებობების, საფარის ინჟინრების, ხარჯთაღრიცხვის, კონტრაქტებისა და შესყიდვების სპეციალისტები, გეოლოგი, ჰიდროლოგი, გეოდეზისტი, მოძრაობის უსაფრთხოების, და სხვა შესაბამისი პროფილის სპეციალისტები. ხსენებულ ძირითად სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 5-15 წლიანი გამოცდილება

№	დასახელება	ანალოგირ სამუშაოზე მუშაობის სტაჟი	რაოდენობა
1	გუნდის ხელმძღვანელი-გზების ან ნაგებობების ინჟინერი	15	1
2	საგზაო ინჟინერი	10	1
3	ხიდების/ნაგებობების ინჟინერი	10 5	2 2
4	მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინერი	10	1
5	გეოლოგი	10	1
6	ჰიდროლოგი	10	1
7	შესყიდვების სპეციალისტი	10	1
8	ხარჯთაღრიცხვების სპეციალისტი	10	1
9	გეოდეზისტი	5	1
10	CAD ინჟინერი	5	2
11	განსახლების სპეციალისტი	10	1
12	გარემოს დაცვის სპეციალისტი	10	1

შენიშვნა: მოთხოვნილი ძირითად სპეციალისტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 80 პროცენტისა უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო	ანალოგიური მომსახურების	ბიოგრაფიული მონაცემები

		გამოცდილება (წელი)	გაწევის გამოცდილება	(ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით. ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია).
1				
2				
და ა.შ.				

10.6. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ **20 მლნ. ლარის** ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

უშუალოდ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს **კონკურსით**

გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ **70%-**ს.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს **კონკურსით** გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

№	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება (ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო ღირებულებები)	წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები და ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო) ღირებულებები
1				
2				
და ა.შ.				

10.7. ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

* გასაწევი მომსახურების დასახელება;

* გასაწევი მომსახურების ღირებულება;

* ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება. წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურება, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქეტებზე ხელშეკრულებების ასლები და მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები–მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით გაწეულ მომსახურებაზე).

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	გასაწევი მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება
1			
2			
და ა.შ.			

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასტან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

11. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

12. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (750 000 ლარი) არ განიხილება.

13. **საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:**

13.1 კონკურსანტის გამოცდილება 0,6. (მათ შორის კონკურსანტის ტექნიკური აღჭურვილობა 0,1; ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება 0,3 და კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება 0,2).

13.2 საკონკურსო წინადადების ფასი 0,4.

13.3 შეფასება განხორციელდება 10-ბალიანი სისტემით.

13.4 თავდაპირველად შეფასდება კონკურსანტის გამოცდილება (ტექნიკური ნაწილი), დაანგარიშდება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკული, რომელიც დაფიქსირდება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ამის შემდეგ კონკურსანტების თანდასწრებით გაიხსნება კონკურსანტების ფასები. ყველაზე დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადება შეფასდება მაქსიმალური 4 ქულით, ხოლო დანარჩენები კონკურსანტების ფინანსური ნაწილი შეფასდება ფასების მიხედვით უკუპროპორციულად ყველაზე დაბალ ფასთან მიმართებაში.

13.5 გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

13.6 ის კონკურსანტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ საკონკურსო განცხადების მე-10 მუხლის 10.4-10.7. პუნქტებით გათვალისწინებულ

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დისკვალიფიცირებული იქნებიან კონკურსიდან და მათ უკან დაუბრუნდებათ ფინანსური წინადადების პაკეტები გაუხსნელად.

14. **ანგარიშსწორების პირობები:**

14.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

14.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

14.3. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესი განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული პირობებით.

2.ტექნიკური დავალება

გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

1. გასაწევი მომსახურება:

"სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა".

მომსახურების სახეობები:

1. საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები;
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულებების დადგენა;

4. სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება;
5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციების დამუშავება;
6. განსახლების სამოქმედო გეგმების დამუშავება.
7. ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა;

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

1). საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება;

2). ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;

3). დამატებითი ეგზემპლიარების ტომებად, წიგნებად აკინძვა;

4). პროექტის კორექტირება;

5). თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით;

შენიშვნა: სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენა ყოველ კონკრეტულ პროექტზე განისაზღვრება ტექნიკური დავალებით, ხოლო ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები მიმწოდებლის მიერ თანხმდება შემსყიდველთან.

2. მომსახურების გაწევის ვადები:

– ხელშეკრულების გაფორმებიდან – 31.12.2014წ.

– ყოველ ცალკეულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვადების მიხედვით.

– ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში.

ყოველ კონკრეტულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად ტექნიკურ დავალებებს გასცემს დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

საჭირო შემთხვევაში, წლიური დაფინანსების ფარგლებში, პროექტების დამუშავების თანმიმდევრობა და თითოეული პროექტის შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე, მიმწოდებელს და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით.

ტექნიკური დავალება

ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს დაბალი ფასის მქონე მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

1. დავალების შემადგენლობა

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა, ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა.

პროექტების ჩამონათვალი და მოცულობები გადაეცემა მიმწოდებელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წლიური პროგრამის შესაბამისად.

თითოეული პროექტის ჩაბარების ვადები განისაზღვრება თითოეული ამ პროექტის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით.

საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია წლიური მოცულობის შეუსრულებლობის გამო.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას.

გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესების და სამუშაოების ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით.
* საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

* პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი

ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

2. სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოთვის საჭირო ხელსაწყოებზე და ტექნიკაზე.

3. მოძრაობის ორგანიზაცია

რათა ეფექტურად იყოს დაცული მშენებლობაზე მომუშავე პერსონალის და მესამე პირის უსაფრთხოება, შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ნორმებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

საჭირო შემთხვევებში დასაშვებია ასაშენებელი ხიდების ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა.

4. დავალების შესრულების წესი

დავალების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით, ტექნიკური დავალებით, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციებით, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობებით, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით.

5. ნორმატიული დოკუმენტები

საპროექტო მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმების, სტანდარტების და წესებისა, აგრეთვე ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრილების საერთო და სპეციფიკური პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად. სატენდერო დოკუმენტაციები

უდნა შედგეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დაცვით.

6. კუთვნილება

ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას.

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასაწარი თანხმობის გარეშე.

ხელშეკრულების პირობებით მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს პროექტის ნაწილის ან/და სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

7. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია. გადასაცემი საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით:

საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა. საპროექტო დოკუმენტაცია – 3 ეგზემპლიარი;

ბ. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 2 ეგზემპლიარი;

გ. სატენდერო დოკუმენტაცია – 8 ეგზემპლიარი;

დ. პროექტის სრული ელექტრო ვერსია – 2 ეგზემპლიარი

8. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების წესი

ცალკეული ობიექტების მიხედვით, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას, ამ სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების ჩათვლით. საავტორო ზედამხედველობაზე გაფორმდება ხელშეკრულების დამატება ზედამხედველობისათვის განკუთვნილი გრაფიკის შედგენით და საავტორო ზედამხედველობის ჟურნალის წარმოებით.

ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი განახორციელებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების თანახმად, შესაბამისი საავტორო ზედამხედველობის ჟურნალის წარმოებით.

9. სამუშაოთა მოცულობა

2013 წლის განმავლობაში (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი) **სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა 25 მლ. ლარი დღგ-ს ჩათვლით.**

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალი და მისი სავარაუდო ღირებულებები ყველა შემთხვევაში განისაზღვრება საპროექტო მონაკვეთზე არსებული ფაქტობრივი საგზაო და საექსპლუატაციო სატრანსპორტო პირობებიდან გამომდინარე.

<u>სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების სავარაუდო ტექნიკური სპეციფიკაციები</u>

I. სახიდე გადასასვლელების საპროექტო სამუშაოების სტადიები

პროექტირება უნდა ჩატარდეს ორ სტადიად:

1). ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება (**ტეგ**);

2). სამუშაო დოკუმენტაციის მომზადება;

ტეგ სტადიაზე უნდა შესრულდეს საინჟინრო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური და საინჟინრო-ჰიდროლოგიური კვლევა-ძიება იმ მოცულობით, რომ საკმარისი იყოს პრინციპული და ტექნიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, სახიდე გადასასვლელის სამუშაო ნახაზების შესადგენად და ობიექტების სავარაუდო ღირებულების განსასაზღვრავად.

სახიდე გადასასვლელის ტრასის ადგილმდებარეობის დანიშვნა უნდა მოხდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა). მდინარის კალაპოტის მონაკვეთი სახიდე გადასასვლელის ადგილზე შეძლებისდაგვარად უნდა იყოს სწორხაზოვანი, ან თანაბრად უნდა უხვევდეს (გეგმაში ხიდი არ უნდა იყოს სწორისა და მრუდის შეერთების ადგილზე); გადასასვლელის უბანზე მდინარის დინების მიმართულება კალაპოტსა და რიყეზე უნდა იყოს პარალელური და მცირედ იცვლებოდეს წყლის დონის ცვლილებისას;

ბ). სახიდე გადასასვლელი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განთავსდეს წყლის საანგარიშო ხარჯის პირობებში მდინარის დინების მართობულად;

გ). გადასასვლელი (შესაძლებლობის ფარგლებში) **უნდა განთავსდეს იქ სადაც მდინარის რიყეები ვიწროა**, ნაპირები **განლაგებულია მაღალ ნიშნულებზე**, ხეობა **არ არის დაჭაობებული და არ არის ტბები**;

ზემოთაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს სახიდე გადასასვლელის არა ნაკლებ სამი ვარიანტისა, რომელთაგან ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებების საფუძველზე შეირჩევა ერთი საუკეთესო დეტალური პროექტის შესადგენად;

კონსულტანტის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების დამკვეთთან განხილვისა და საპროექტო ტრასებისა და საპროექტო ხიდების სქემების შეთანხმების შემდგომ, უნდა შესრულდეს საჭირო საველე (დეტალური პროექტირებისათვის საკმარისი მოცულობით) და კამერალური სამუშაოები სამუშაო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად.

სამუშაო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა). სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარეგულაციო ნაგებობები და მისასვლელები) კონსტრუქციული ელემენტების დეტალურ ნახაზებს, სამშენებლო სამუშაოების მოცულობებსა და სხვა;

ბ). მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს;

გ). სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;

დ). გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

ე). განსახლების სამოქმედო გეგმას (საჭიროების შემთხვევაში);

II. ველზე (ადგილზე) ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები

1. ტოპოგეოდეზიური სამუშაოები

ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების წარმოების დროს უნდა იყოს დაცული შემდეგი პირობები და შესრულდეს შემდეგი სახის საველე სამუშაოები:

– ტოპოგრაფიული გადაღების ფართობი უნდა იყოს საკმარისი სახიდე გადასასვლელისა და მშენებლობისათვის საჭირო დროებითი ნაგებობების პროექტირებისათვის;

– ტოპოგრაფიული გადაღების უბნების ფართობები და საზღვრები უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად ობიექტის მიხედვით;

– გადაღების უბნის მინიმალური ზომები უნდა იქნას მიღებული:

* ხიდის განივად – წყლის საანგარიშო ხარჯის შემთხვევაში გაშლილი მდინარის ფარგლებში არსებულ სიგანეს დამატებული ის მანძილი, რომელიც შეესაბამება წყლის ნიშნულს სიმაღლეში 1-2 მეტრის წამატების შემთხვევაში მიღებული სიგრძე;

* მდინარის დინების ზევით და ქვევით ხიდის განლაგების, ნაკადის მიმმართველი ჯებირებისა და ხიდქვეშა კალაპოტის გაჭრის რაიონში - ხიდის ღერძიდან 1,5 ხვრეტის მანძილზე;

– ტოპოგადაღება ასევე ითვალისწინებს მდინარის ხეობის გადაღებას იმ უბნებზე, სადაც იქნება დაპროექტებული მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება, განივი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა, ნაპირების გამაგრება და სხვა;

– ხიდთან მისასვლელების უბნებზე ტოპოგადაღების ზოლი უნდა იყოს საკმარისი ყველა ნაგებობის დასაპროექტებლად, რომლებიც დაკავშირებულია როგორც სახიდე გადასასვლელის მშენებლობასთან, ისე მის ექსპლუატაციასთან, მაგრამ არნაკლებ 100 მეტრისა ტრასის ორივე მხარეზე;

– რელიეფის ტოპოგრაფიული გადაღებები დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში, რომელიც საჭირო იქნება დაპროექტებისათვის. დამეწყრილი ადგილების, სახიდე გადასასვლელების, მცირე ხელოვნური ნაგებობების (მილები, საყრდენი კედლები და სხვა) მოწყობის ადგილები უნდა შესრულდეს ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება შემდგომი დაპროექტებისათვის;

– სახიდე გადასასვლელის ტრასის პიკეტაჟი და ნიველობა;

– განივი პროფილების გადაღება მრუდეებსა და მთაგორიან ადგილებში 20 მეტრში, ხოლო სწორი რელიეფის პირობებში ყოველ პიკეტზე და დამახასიათებელ წერტილებში;

– მუდმივი რეპერების მოწყობა სახიდე გადადსასვლელის ტრასის მისაბმელად პროფილში და დროებითი რეპერების დასმა სწორ ადგილებში სახიდე გადასასვლელზე მდინარის ორივე მხარეს, დიდ ჭრილებთან კი ჭრილის დასაწყისთან ორივე მხარეს;

შენიშვნა: ტრასის დამაგრება და რეპერები ჩაბარდეს აქტით დამკვეთ ორგანიზაციას;

– საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების საპროექტო სახიდე გადასასვლელთან გადაკვეთის კუთხეები და ადგილები და შეთანხმდეს საჰაერო ხაზების, ელექტროგადაცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის გადასასვლელთან გადაკვეთისა და საპროექტო ხიდზე გატარების პირობები;

– საჭიროების შემთხვევაში, ტრასის მაღალი ძაბვის ხაზების გადაკვეთისას განისაზღვროს მათი ჩამოკიდების სიმაღლეები;

სახიდე გადასასვლელების საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმების სიზუსტე, შინაარსი და გაფორმება უნდა პასუხობდეს სნდაწ 1.02.07-87 "საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის" მოთხოვნებს.

კამერალური სამუშაოები უნდა შესრულდეს შემდეგი პირობების დაცვით:

– სახიდე გადასასვლელის საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს გადასაღები ობიექტის ფართობის მიხედვით მასშტაბებში 1:500 (გადასაღები ფართობის 10

ჰა-მდე შემთხვევაში), 1:1000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა-მდე შემთხვევაში) და 1:2000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა მეტის შემთხვევაში). რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებული უნდა იქნას რელიეფისა და სიტუაციური სირთულიდან გამომდინარე 0,5 და 1,0 მეტრი;

– გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 – 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 – 1 : 100;

– განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბშით

1 : 100, ხოლო სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

– ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

2. არსებული კომუნიკაციების კვლევის სამუშაოები

სახიდე გადასასვლელის საპროექტო ღერძის მიმართულებაზე სხვადასხვა კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სახის სამუშაოებისა და შეთანხმებების ჩატარება:

ა). გაზომილი უნდა იქნას არსებული წყალსადენების, საკანალიზაციო მილებისა და სხვა კომუნიკაციების მდგომარეობა საპროექტო ტრასასთან მიბმით და მათი დამაგრების კონსტრუქციები ხიდებზე (გზაგამტარებზე და სხვა);

ბ). საჭიროების შემთხვევაში შეირჩეს სავარაუდო ტრასა კომუნიკაციების გადასატანად;

გ). მიბმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები, მიწისქვეშა ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები;

დ). საპროექტო გადაწყვეტილებები შეთანხმდეს სათანადო კომუნიკაციების მფლობელთან.

3. ჰიდროლოგიური და ჰიდრომეტრიული კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

პროექტის შესადგენად საინჟინრო-ჰიდროლოგიური სამუშაოები მოიცავს სახიდე გადასასვლელის რაიონის ჰიდროლოგიური პირობების დეტალურ შესწავლას იმ მოცულობით, რაც საკმარისი იქნება ხიდის, მისასვლელების მიწის ვაკისის, სარეგულაციო ნაგებობებისა და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირებისათვის. ამისათვის საჭიროა:

– დათვლილი იქნას ხარჯები შესაბამისი მეთოდიკით და დაზუსტდეს წყლის მაღალი ჰორიზონტი ხიდებისათვის;

– ხიდის ოპტიმალური ხვრეტის ანგარიში უნდა ჩატარდეს საძირკვლების ჩაღრმავების სიღრმის გაანგარიშებასთან კომპლექსურად, იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სახიდე გადასასვლელის მშენებლობის შემდეგ;

– ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავება განისაზღვროს საერთო და ადგილობრივი წარეცხვების ჯამით ბუნებრივი სიღრმითი დეფორმაციების გათვალისწინებით;

– ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე დაინიშნოს სახიდე გადასასვლელებზე სარეგულაციო ნაგებობების მდებარეობა და კონსტრუქციები;

– ხიდის ხვრეტის დანიშვნისას, ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავების განსაზღვრისას, სარეგულაციო ნაგებობების დაპროექტებისას აუცილებელია მდინარის კალაპოტის შესაძლებელი ბუნებრივი დეფორმაციების გათვალისწინება, რომლებიც შეიმჩნევა მდინარეებზე არსებულ პირობებში და რომლებიც ხშირად აქტიურდება გადასასვლელის მშენებლობის შემდეგ.

– სახიდე გადასასვლელის მუშაობაზე ბუნებრივი დეფორმაციებისგან გამოწვეული ნეგატიური მოვლენებისგან თავის არიდება შესაძლებელია როგორც გადასასვლელის გენერალური ზომების დანიშვნისას, ასევე მდინარის ნაკადის შესაბამისი რეგულაციით (კალაპოტის გასწორება, ნაპირების გამაგრება, გრძივი და განივი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა და სხვა);

– ჰიდრომეტრიული სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების პირობები;

4. საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას სახიდე გადასასვლელის ყველა ელემენტის პროექტირების დროს უნდა გაყვანილი იქნას დაზვერვითი საინჟინრო-გეოლოგიური ჭაბურღილები, გაითხაროს შურფები. ასევე შესაძლებელია გეოფიზიკური და საველე საგამოცდო სამუშაოების ჩატარება.

დაზვერვითი გამონამუშევრები (შურფები, ჭაბურღილები) და ზონდირების წერტილები უნდა განთავსდეს შეძლებისდაგვარად სახიდე გადასასვლელის ღერძზე.

ყოველ კონკურენტუნარიან ვარიანტზე უნდა იყოს არანაკლებ ერთი გამონამუშევრისა მდინარის თითოეულ ნაპირზე და მის კალაპოტში (დიდი მდინარის შემთხვევაში).

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვრება საძირკვლების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების მიღების პირობიდან მათი დაყრდნობის ზონიდან 5-10 მეტრით დაბალ სიღრმეზე, რაც ამას გარდა უზრუნველყოფს ქვესაგებ გრუნტებზე საძირკვლების მდგრადობაზე გაანგარიშების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საძირკვლების საფუძვლებში კუმშვადი გრუნტების სისქის შესახებ, ჭაბურღილების სიღრმის განსაზღვრა დასაშვებია ცხრილით №37 სნდაწ 1.02.07-87 ("საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის")

საძირკვლების დაყრდნობის ზევით ზონა საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას გამოკვლეული (სტატიკური ზონდირებით) იმ მიზნით, რომ მიღებული იქნას მონაცემები გვერდითი ხახუნისა და გრუნტის შუბლური წინააღმდეგობის განსაზღვისათვის, გრუნტებში საძირკვლების უსაფრთხო ჩამაგრების სიდიდის გაანგარიშებისათვის, ასევე ალუვიური გრუნტების ადგილობრივი და საერთო გარეცხვების გამოსათვლელად.

ჭაბურღილის 30-40 მეტრზე მეტ სიღრმეზე გაყვანის აუცილებლობა საჭიროა დასაბუთდეს საპროექტო და ხიდის სამშენებლო სამუშაოების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით.

საძიებო ჭაბურღილების სიღრმე ხიდის მისასვლელებზე, სარეგულაციო და დამცავ ნაგებობებზე მარტივ პირობებში განისაზრვრება ასაშენებელი ობიექტების მდგრადობისათვის საჭირო ღონისძიებების დანიშვნის აუცილებლობის პირობებიდან, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მათ ერთნახევარ სამშენებლო სიმაღლეს. ჭაბურღილები ინიშნება ნაგებობის ღერძზე მანძილით არაუმეტეს 100-200 მეტრისა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევაძიებით მიღებული მასალების საფუძველზე უნდა შედგეს ანგარიშები სახიდე გადასასვლელის ყველა ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, მიწის ვაკისის მოსაწყობი გრუნტებისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების მარაგებისა და ხარისხების მონაცემებით.

შენიშვნა: სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით და ცალკეულ ობიექტებზე გაცემული, დაკონკრეტებული ტექნიკური დავალებებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნებით. ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიეტის პროექტზე ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები მიმწოდებლის მიერ თანხმდება შემსყიდველთან.

5. გარემოსდაცვითი შეფასება

ა. კონსულტანტი ვალდებულია კვლევის პირველ ეტაპზე **(ტეგ)** განიხილოს, ადგილზე შეისწავლოს საპროექტო გზის მშენებლობის მიმართულების ყველა შესაძლო ვერსია და მოამზადოს ანალიზი, სადაც ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს:

– პროექტთან დაკავშირებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზის (საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების) მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის კატეგორიის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებლობის განსაზღვრა (სკრინინგი).

– გარემოს არსებული მდგომარეობის წინასწარი შესწავლები და ზოგადი შეფასებები, ყველა ალტერნატიული მარშრუტისათვის. გარემოსდაცვითი ზიანის შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების მიახლოებითი შეფასება.

– შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების გათვალისწინებით სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შედარება და უპირატესი ვარიანტის გამოვლენა.

ბ. კონსულტანტის მიერ **დეტალური პროექტირებისას (სამუშაო პროექტი),** კვლევის პირველ ეტაპზე განსაზღვრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებლობის შემთხვევაში შესწავლი უნდა იქნას:

– ფიზიკური გარემოს მდგომარეობა (ტოპოგრაფიული და გეომორფოლოგიური აღწერა, გეოლოგია, საშიში გეოლოგიური პროცესები, ჰიდროგეოლოგია, ჰიდროლოგია, ზედაპირული წყლის რესურსები და ნიადაგები; ინფორმაცია კლიმატზე და ფონურ დაბინძურებაზე)
– ბიოლოგიური გარემო (დაცული ტერიტორიები; მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი და დაცული სახეობების გავრცელება ტერიტორიაზე; მგრძნობიარე და მაღალი ღირებულების ჰაბიტატები და ეკოსისტემები).
– სოციალური და კულტურული გარემო (დასახლება და მიწათსარგებლობა; სოფლები და თემები; დემოგრაფია; ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება; სიღარიბე და განსაკუთრებით მოწყვლადი სოციალური ჯგუფები; განათლება; სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.). ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა ძეგლები და ცნობილი არქეოლოგიური მნიშვნელობის უბნები.
გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მომზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების სახეობები, მასშტაბები და მათი შემცირებისათვის განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვის მენეჯმენტის (მართვის) გეგმის სახით.

6. განსახლება

ა. კონსულტანტი, ვალდებულია კვლევის პირველ ეტაპზე **(ტეგ)** განიხილოს, შეისწავლოს, ადგილზე განსაზღვროს და შეიმუშაოს საპროექტო გზის მშენებლობის მიმართულების ყველა შესაძლო ვერსია, სადაც ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს:

– დასაკავებელი მიწების (გზის განთვისების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულება და სხვა მახასიათებლები (შენობა-ნაგებობები, ხეხილი, ბიზნესაქმიანობა და ა.შ.)

– საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები, ზოგადი შეფასებები და ქონების დაახლოებითი ღირებულებები.

– შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების გათვალისწინებით სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შედარება და უპირატესი ვარიანტის გამოვლენა.

ბ. კონსულტანტი ვალდებულია **დეტალური პროექტირებისას (სამუსაო პროექტი),** კვლევის პირველ ეტაპზე **(ტეგ)** შერჩეულ ვარიანტზე გამოვლენილი პროექტის ზემოქმედების შემთხვევაში, მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

1). პროექტის აღწერა;

2). პროექტის პოტენციური ზემოქმედება;

3). პროექტის მიზნები და ამოცანები;

4). საკანონმდებლო საფუძვლები;

5). ინსტიტუციური სისტემა;

6). გსგ-ს განხორციელება;

7). შეფასების მეთოდიკა. ზარალისა და კომპენსაციის შეფასება;

8). საჩივრების პროცედურები;

9). ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა;

10). განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი;

11). განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი;

რეკომენდირებული სტანდარტები

რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია დეტალური პროექტის განხორციელებისას გამოიყენოს საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტები და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები. ნორმებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.

საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იქნას კონსულტანტის მიერ გამოყენებული სამშენებლო ნორმები და სტანდარტები.

3.ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

თბილისი **---- ---------- 2013 წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის ---------- სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთის მხრივ და ---------- სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, სახიდე გადასასვლელების სამშენელო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის შესყიდვას – (შემდგომში მომსახურება).

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს ------ (----------) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ------ (----------) ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების მიხედვით, მომსახურების გაწევის

გრაფიკის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა),რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 25 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება მოხდება ხარისხის გარანტიის პირობებით გათვალისწინებული დაქვითვებისა და სხვა ჯარიმების გათვალისწინებით.

2.6. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებითი ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.7. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.

2.8. საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს ამისათვის საჭირო დროს საპროექტო სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.

2.9. აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.10. მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.11. შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს

გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.12. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.13. აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A=წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X=წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.14. შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.13 პუქნტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.15. ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

2.16. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგერთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარებისა და ანაზღაურების წესი

4.1. მიმწოდებლისაგან, უკვე დასრულებულ დოკუმენტაციას (ნახაზებს, ხარჯთაღრიცხვას, სატენდერო დოკუმენტაციას, ტექნიკურ ანგარიშებს და სხვა დოკუმენტაციას) შემსყიდველი მიიღებს საჭიროების შემთხვევაში მისი ექსპერტიზაზე გადაცემისა და სათანადო დასკვნის მიღების შემდგომ, აგრთვე, საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკურ საბჭოზე დადგენილი წესით განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების მიღების შესაბამისად.

შემსყიდველის მიერ პროექტის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების

შემდეგ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2. **წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება გაწეული მომსახურების ღირებულების 10% (მიმწოდებლის მიერ ცალკეული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტიების მირება-ჩაბარებიდან თანხის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს), რომლის დაბრუნება მოხდება აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების შემდეგ, თუ სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტი ან ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. იმ შემთხვევაში, თუ პროექტში აღმოჩენილი ხარვეზისა თუ დეფექტის გათვალისწინება შესაძლებელი იყო პროექტირების ეტაპზე, შემსყიდელის მიერ ხარისხის საგარანტიოდ გაკავებული თანხები მიმწოდებელს არ ანაზღაურდება.**

4.3. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4.5. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

4.6. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხედავად.

4.7. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში

შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრილების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ვ) საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, სამუშაოების განმახორციელებელი ან/და სამუშაოების საზედამხედველო კომპანიების მიერ პროექტში ცვლილების თაობაზე შემსყიდველთან საკითხის დაყენების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა ამ ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხდავად.

ზ) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

თ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5. ხელშეკრულების დამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს

აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1.0% (ერთი პროცენტი) არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია (იხ. ხელშეკრულების დანართი), რომელიც ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **3%-ის** ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა. **იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში გამარჯვებული მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწიდებელმა შემსყიდველს უნდა შესრულების გარანტია წარმოუდგინოს 6%-ს ოდენობით.**

8.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.7. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურება შეესაბამება ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების პირობებს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა,თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

<u>მუხლი 10. უფლებების გადაცემა</u>

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული უველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

11.4. მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.5. მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

11.6. მიმწოდებელი, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით სპეციალისტს(ებს) ნიშნავს შემსყიდველთან შეთანხმებით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან

ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

<u>მუხლი 13. ინსპექტირება</u>

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის – ფინანსების მართვის სამმართველოს.

13.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

<u>მუხლი 14. სხვა პირობები</u>

14.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3. მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7. მიმწოდებლის სააატენდერო წინადადება (საკვალიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური პირობები, სამუშოების შესრულების მეთოდები, მომსახურების გაწევის

გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ნახაზები, სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე,გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულბის მოქმედების ვადაზე.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ თღ შ 22, ანგარიშის №200122900.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

მიმწოდებელი:----------

ხელმოწერა_____ ----------

ბ.ა.

დანართი
ხელშეკრულებაზე

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____(შემდგომში - „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

(კონკურსის დასახელება)

კონკურსში წარდგენილი თავისი საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან,დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. №12, მე-4 სართული. საკონტაქტო პირი: შაქრო ხალვაში ტელ: +995 32 37 05 08 (215)

დანართი №1

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი სკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

*საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა----------

დანართი №2

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

საკონკურსო წინადადების წინადადების ფასი:

დანართი №3

ხარჯთაღრიცხვა

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა;

ძირითადი საპროექტო მომსახურება

საპროექტო მომსახურების დასახელება	სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, ლარი	სატენდერო წინადადება	
		საპროექტო ღირებულება %	მთლიანი საპროექტო ღირებულება, ლარი
1	2	3	4
სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა	—	—	
დღგ 18%	—	—	
სულ ძირითადი საპროექტო მომსახურება დღგ-ს ჩათვლით	**24 271 844**		
დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ს ოდენობით	—	—	
მთლიანად	—	—	

დამატებითი მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში. სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)

დამატებითი მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეული	სატენდერო წინადადება
1	2	3	4
საავტორო ზედამხედველობა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება: (სტანდარტული ფორმა -4): ტექსტი . . . . . . ნახაზები . . . . (სტანდარტული ფორმა -3) ტექსტი . . . . . . ნახაზები . . . . ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა	 ფურცელი ფურცელი ფურცელი ფურცელი 1 წიგნი	 ლარი ლარი ლარი ლარი ლარი	
პროექტის კორეტირება	სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით	გვერდი	ლარი	

--- --- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა) (პრეტენდენტის დასახელება)

(ბეჭდის ადგილი)